ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 376

"29" სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო ქუჩებისთვის და მასთან მდებარე შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 6 მაისის №103 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების და ქუჩების სახელდების შესახებ

1.ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 6 მაისის №103 დადგენილებით განხორციელდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 10 უსახელო ქუჩის სახელდება, რომელთაგან 9 ქუჩა მდებარეობს სამგორის, ხოლო ერთი ისნის რაიონში. დადგენილების გამოცემის პროცესში დაშვებული იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა და აქტში მითითებული არ იქნა, რომ ერთი ქუჩა მდებარეობს ისნის რაიონში.

ვინაიდან ქუჩების სახელდების მომენტისთვის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი იყო დადგენილება, ხოლო დღეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი არის განკარგულება მიზანშეწონილია 2014 წლის 6 მაისის №103 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება და ქუჩებისთვის სახელების ხელახლა მინიჭება იმ ტექნიკური ხარვეზის გათვალისწინებით რაც 2014 წელს იქნა დაშვებული.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო ქუჩებისთვის და მასთან მდებარე შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 6 მაისის №103 დადგენილება

ბ) ისნის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან მდებარე ქუჩას მიენიჭოს ანდრია დადიანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად

გ) სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ ქუჩებს, შესახვევებს და ჩიხებს თანდართული რუკის თანახმად მიენიჭოს შემდეგი სახელები:

გაიოზ რექტორის ქუჩა;

ვლადიმერ აღნიაშვილის ქუჩა;

თეკლა ბატონიშვილის ქუჩა;

ფილადელფოს კიკნაძის ქუჩა;

დოსითეოს ქუთათელის ქუჩა;

დათო ყიფიანის ქუჩა;

რევაზ კვირიკაშვილის ქუჩა;

ვალენტინ გიგინეიშვილის ქუჩა;

მარია პერინის ქუჩა;

დ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X_488935.4975
Y_ 4614580.6821
ანდრია დადიანის ქუჩა
X_489183.2123
Y_ 4614498.439

X_492135.5942
Y_ 4611884.1622
8.0003 ფეხმეტრი
X_492048.1901
Y_ 4611763.4172

X_492202.0443
Y_ 4611864.8973
X_492048.2956
Y_ 4611659.5075

X_492333.438
Y_ 4611822.981
ოდესის ბულვარი ფოლადის ქუჩა
X_492138.7561
Y_ 4611552.4964

X_492461.114
Y_ 4611762.696
ბულვარი - ბულვარი
X_492297.3592
Y_ 4611532.3743

X_492228.5629
Y_ 4612064.4802
დოსითეოს ქუთათელის ქუჩა
X_492479.7265
Y_ 4611927.4668
I ზონა
X_492216.0817
Y_ 4611956.7435
დოსითეოს ქუთათელის ქუჩა
X_491750.4045
Y_ 4612018.3426


X_492808.1923
Y_ 4612006.8886
X_492803.1643
Y_ 4611943.664
X_492643.6155
Y_ 4611865.5971
X_492543.1984
Y_ 4611775.4483
I ქუჩა


X_492372.5278
Y_ 4611991.0018
X_492322.0074
Y_ 4611982.0599
X_492365.3634
Y_ 4611962.5259
III ზოლი
II ზოლი
რეკვეზ კვირიკაძეშვილის ქუჩა
X_492339.8118
Y_ 4611909.3927
X_492501.2927
Y_ 4611845.0282
I ზოლი
X_492467.139
Y_ 4611801.1204
X_492468.4174
Y_ 4611784.6875

X_492094.3775
Y_ 4611599.323
X_492270.0468
Y_ 4611846.481

X_492531.229
Y_ 4611749.1844
ავლაბარი-ყვირილა ქუჩა
X_492344.6748
Y_ 4611463.5438